

## **საინფორმაციო უზრუნველყოფის როლი ფირმის წარმატებული საქმიანობისათვის**

მანანა მალრაძე, თალიკო ჟვანია, ალექსანდრე ბურდულაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **რეზიუმე**

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმის წარმატებული მოღვაწეობა შეუძლებელია საინფორმაციო უზრუნველყოფის გარეშე, რითაც დაკავებულია საინფორმაციო განყოფილებები. ისინი უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოპოვებას, შეფასებას, რედაქტირებას მომსახურების მაღალი ხარისხით და წარმოადგენენ მას მმართველობისათვის მოხერხებული ფორმით – გადაწყვეტილების მისაღებად. განხილულია ინფორმაციების სწრაფი მიღების, გადამუშავების, ოპტიმალური შენახვის, უფლების მოპოვების და ოპტიმალური ანალიზის ამოცანების გადაწყვეტის საჭირო ტექნოლოგიები.

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაცია. საინფორმაციო სისტემები. მენეჯმენტი.

### **1. შესავალი**

ფირმის წარმატება წარმოადგენელია საინფორმაციო უზრუნველყოფის გარეშე. სწორი და დროული ინფორმაცია ორგანიზაციას ეხმარება: ფინანსური რისკის შემცირებაში, მის ირგვლივ შექმნილი გარემოსა და ბაზრის თვალყურის დევნებაში, ფირმის მოღვაწეობის შეაფასებასა და სტრატეგიის შემუშავებაში.

ინფორმაცია წარმოადგენს მენეჯერის ეფექტიანი მუშაობის ძირითად რესურსს, ამიტომ მისი მიღებისა და კომუნიკაციის საშუალებებს ფირმის მართვაში მზარდი როლი ენიჭება. კორესპონდენცია და შეტყობინება ორგანიზაციებს შორის საფოსტო კავშირის გარდა შეიძლება გადაიცეს ფაქსით, ტელექსით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით და სხვა ტექნიკური საშუალებებით.

ბიზნესში ეფექტური შედეგის მიღწევა დამოკიდებულია ფინანსებისა და შრომითი რესურსების სრულყოფილ მართვაზე, რაც მოქნილი საინფორმაციო სისტემის გარეშე შეუძლებელია.

ბოლო წლებში საინფორმაციო-ანალიტიკურმა მოღვაწეობამ საკმაო განვითარება ჰპოვა, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ ორგანიზაციებში. ეს მრავალი მიზეზით აიხსნება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მეწარმეობის განვითარების შემთხვევაში. ხშირად საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდ ინფორმაციას ფლობს გადაწყვეტილების მიმღები პირი. ჰენრი ფონდი ამბობდა: „ბიზნესში

წარმატების საწინდარი – დროულად მიღებული, სწორად გაგებული და კარგად გამოყენებული ინფორმაცია”.

წარმოების მართვის ეტაპზე, სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა ოპერატიული, უტყუარი და ხარისხიანი ინფორმაცია. ფირმის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს კარგად დამუშავებული და ანალიზისათვის მზა ინფორმაცია.

სასარგებლო ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. სისრულე;
2. შესაბამისობა;
3. დროულობა;
4. ოპტიმალური სიზუსტე;
5. აღქმადობა;
6. მნიშვნელობა;
7. შესაბამის პირებზე გადაცემა;
8. შესაბამისი არხით გადაცემა;

ინფორმაცია მანამ არის სასარგებლო, სანამ მისი მნიშვნელობა აღემატება მოპოვებაზე გაწეულ დანახარჯებს. ამასთანავე თუ ინფორმაცია არ არის ზუსტი, უზუსტობის ალბათობა და ხარისხი ცნობილი უნდა იყოს მომხმარებლისთვის.

სასარგებლო ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს:

ა). შევამციროთ ზედმეტი ხარჯები – ხარჯების ანალიზის მეშვეობით გამოვლინდება არასასურველი და შეუსაბამო ხარჯები, რაც მომავალში საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ისინი.

ბ). გამოვიძუშოთ მარკეტინგის საუკეთესო სტრატეგია;

გ). შევქმნათ ეფექტური ბიუჯეტი – ინფორმაცია იმ დანახარჯების შესახებ, რომლებიც საჭიროა წარმოებისათვის, ხელს უწყობს რეალური ბიუჯეტის შედგენას, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული რესურსები.

დ). შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტი – ოპტიმიზაციის მეთოდით შესაძლოა გადაწყვეტილებების სპექტრიდან უნდა ამოირჩეს საუკეთესო, რათა მწირი რესურსები უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული.

ინფორმაცია იქნება უსარგებლო, თუ მას ვერ გამოიყენებენ ან იქნება მოკლებული სიახლეს.

ინფორმაციის ღირებულება შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

ა). იმ სისტემის დაპროექტების და შექმნის ღირებულება, რომელიც ქმნის ინფორმაციას;

ბ). ყოველდღიური საექსპლუატაციო ხარჯები სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს ფირმას ინფორმაციით;

გ). შენახვის ხარჯები, რომელიც თავის მხრივ შეიცავს: ტექნიკური საშუალებების, სამუშაო ადგილისა და მოძიების ღირებულებებს.

მენეჯერებისათვის ინფორმაციის მიწოდების პრინციპზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, ესენია:

- ორგანიზაციის ამოცანები;
- მასშტაბები და საქმიანობის ნაირსახეობა;
- მართვის სტრუქტურა;
- მართვის სტილი;
- მისაღები გადაწყვეტილებების ტიპი;
- მართვის სისტემის გახსნილობის ხარისხი და მისი ურთიერთობა გარემოსთან.

დღეს ყველა მსხვილი კომერციული სტრუქტურა ფლობს თავის წარმოებაში განყოფილებას, რომელიც დაკავებულია საინფორმაციო საქმიანობით. ერთ ფირმაში ეს შეიძლება იყოს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება, მეორეში – მარკეტინგის განყოფილება, ხოლო მესამე ფირმაში – ვთქვათ, კომერციული დაზვერვის განყოფილება. ეს დამოკიდებულია, იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ფირმის ხელმძღვანელობას საინფორმაციო-ანალიტიკური სამუშაოები – ფირმის მუშაობის ყველა ეტაპზე.

საინფორმაციო სისტემების ძირითადი მიზანია – ფირმის ხელმძღვანელობამ და სხვა თანამშრომლებმა დროულად მიიღონ მაქსიმალური რაოდენობის ხარისხიანი და კონკრეტული ინფორმაცია.

მართვის ინფორმაციული სისტემები არის მოხერხებული ფორმით დამუშავებული საგვემო პროცედურების კომბინაცია, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურითა და მენეჯერებით, რომლებმაც შეიძლება გამოიყენონ მიღებული მონაცემები, რაც დაეხმარება მათ ადმინისტრირებაში და მისაწვდომი რესურსების გამოყენებაში.

ფირმის წარმატება თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია საინფორმაციო უზრუნველყოფის გარეშე. იგი ეხება არა მარტო პირადად ფირმის მოღვაწეობას, ასევე საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში. ინფორმაცია არის არა მარტო მნიშვნელოვანი პროდუქტი წარმოების ყველა ეტაპზე, არამედ მას მოქმედებაში მოჰყავს სხვადასხვა რესურსები, მათ შორის – მატერიალური, ფულადი, საკადრო და სხვ.

საინფორმაციო რესურსები – ეს არის მრავალრიცხოვანი, პროფესიულად მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროები, რომლებიც აუცილებელია დროის ნებისმიერ კონკრეტულ პერიოდში, განსაზღვრულ სფეროში მოქმედების განვითარებისათვის. ინფორმაცია – ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ძირითადი პირობაა.

ნებისმიერი წარმოება შეიძლება წარმოვიდგინოთ, საინფორმაციო ნაკადებში ჩაფლული, რომლებიც შემოდის სხვადასხვა წყაროებიდან, ეს იქნება: სახელმწიფო, საზოგადოებრივი

ორგანიზაციები, მიმწოდებლები, კონკურენტები თუ ბაზრის ინფრასტრუქტურა. წარმოების საინფორმაციო სისტემები ახდენს ინფორმაციის ამ ნაკადებიდან იმ ინფორმაციის გაფილტვრას, რომელიც აუცილებელია საწარმოს სიცოცხლისუნარიანობისათვის და წარმოადგენს მას მმართველობისათვის მოხერხებული ფორმით – გადაწყვეტილების მისაღებად.

ერთი შეხედვით სამყაროში დიდი რაოდენობის ინფორმაციაა, და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ინფორმაციის ნაკლებობას არავინ არ განიცდის. მაგრამ ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობა გარკვეულწილად უკავშირდება ინფორმაციულ დეფიციტს, და სწორედ ამ დეფიციტის დასაკმაყოფილებლად უნდა მოღვაწეობდეს საინფორმაციო სამსახურები.

კომერციული საქმიანობის ინფორმაციით უზრუნველყოფის სპეციალური საშუალებაა ოფიციალური, პერიოდული გამოცემები, ასევე აქტიურად გამოიყენება საქმიანი დოკუმენტაციების გაცვლის ელექტრონული ტექნოლოგია, რომელსაც აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა კომერციული ფირმები: სამრეწველო საწარმოები, სავაჭრო-საშუამავლო ორგანიზაციები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ., მათი საქმიანობის მონაცემების გაცვლისათვის.

საინფორმაციო სისტემასა და მუდმივ მომხმარებელს შორის ურთიერთობისათვის მიზანშეწონილია **Internet** ტექნოლოგიების გამოყენება. აქ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე უფლება აქვს მომხმარებლის განსაზღვრულ წრეს და ისიც მხოლოდ ფირმის ლოკალური არხის შიგნით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოების საკითხს.

როდესაც საინფორმაციო განყოფილებაში დიდი რაოდენობის ინფორმაცია შემოდის ქაღალდების სახით, მის გადამუშავებას და კომპიუტერში შეტანას დიდ დროს სჭირდება, ამიტომ შემოსული ინფორმაციები სასურველია იყოს ელექტრონული სახით.

ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით – ციფრული (ცხრილების სახით), ტექსტური, აუდიოგრაფიკული, ვიდეო, შეიძლება მას ჰქონდეს სხვადასხვა ფორმატი. საჭირო ხდება ასეთი მრავალგვარი ინფორმაციების სწრაფი მიღების, გადამუშავების, ოპტიმალური შენახვის, უფლების მოპოვების და ოპტიმალური ანალიზის ამოცანების გადაწყვეტა. ამიტომ საჭიროა ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა წარმატებით გადაიჭრას ეს პრობლემები.

დიდი მოცულობის სხვადასხვაგვარი მონაცემების ოპტიმალური შენახვის პრობლემას **OLTP** – „მონაცემების საცავის“ ტექნოლოგია აგვარებს [ ]. **OLTP** ტექნოლოგია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას და გადამუშავებას. ასევე მონაცემების მიღებასა და ოპტიმალურ უფლებამოსილებას უზრუნველყოფს – **OLAPO** ტექნოლოგია – მონაცემების მრავალმხრივ სტრუქტურათა მუშაობის ტექნოლოგია [ ]. ეს ტექნოლოგიები შეიცავს მეთოდებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გამოყენება გვეხმარება მოცემული ამოცანების გადაწყვეტაში.

რამდენადაც ინფორმაცია ვიზუალურად უკეთესად აღიქმება, საინფორმაციო სისტემებში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მასალის მაქსიმალურ ვიზუალიზაციაზე. ინფორმაციის

გრაფიკული გამოსახვის უმარტივესი მეთოდებია სხვადასხვა სქემები, გრაფიკები და დიაგრამები. მიზანშეწონილია ასევე ინფორმაციის წარმოდგენის პროცესში ხმოვანი სიგნალის თანხლება.

მნიშვნელოვანია გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები. ისინი იყენებენ რიცხვულ გეოგრაფიულ რუკებს, რომლებზეც ეწყობა მრავალფეროვანი რიცხვული მონაცემები და აქვს შესაძლებლობა მათი შემდგომი გადამუშავებისა და ანალიზისათვის.

საინტერესო და პერსპექტიულია VRML ტექნოლოგია – ვირტუალური რეალობის მოდელირების ენა, რომელიც გამოიყენება გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემაში [ ].

### **ლიტერატურა**

1. Бакланов М.Н. – Информационное обеспечение коммерческой деятельности//Маркетинг. – 1999.
2. Бурый-Шмарьян О.Е. – Задачи и основные направления деятельности информационных служб организаций и предприятий. – М. ВINITI, 1996 г.
3. Коробкин А. – Классификация источников информации о формах//Маркетинг. 1996 г.

### **ROLE OF THE SUPPLY WITH INFORMATION FOR SUCCESSFUL ACTIVITY OF FIRM**

Magradze Manana, Jvania Taliko, Burduladze Alexander  
Georgian Technical University

### **Summary**

In the article is shown, that in conditions of market economy it's inconceivable the successful working of the firm without information maintenance. Information departments are concerned with it. They ensure information procuring, estimation, editing with high quality service and perform it with dexterous form for management – to make a decision. There are examined needful technologies for information rapid procuring, verification, optimum conservation, getting right and for problem determination of optimum analysis.

### **РОЛЬ ИНФОРМАЦИОННОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ ДЛЯ УСПЕШНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ФИРМЫ**

Маградзе М., Жвания Т., Бурдуладзе А.  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

В статье показано, что в условиях рыночной экономики успешная деятельность фирмы не возможна без информационного обеспечения, чем и заняты информационные отделения фирмы. Они обеспечивают доставку, оценку, редактировку и обслуживание информации на высшем уровне и представляют его в удобной форме для принятия решения.

Рассмотрены нужные технологии для быстрой доставки, переобработки, оптимального хранения, получения право и оптимального анализа информации для решения задач.